ურანგო არამკაფიო მსჯელობა

მიხეილ რუხაია

ცოდნის ფორმალური წარმოდგენის მთავარი იარაღია ონთოლოგიები, რომელიც არის ლოგიკაზე დაფუძნებული ფორმალური ენის წინადადებათა ერთობლიობა. ასეთ ფორმალურ წინადადებათა ერთობლიობას იყენებენ ავტომატიზირებული მსჯელობის მოდულები, რომ მოცემული ინფორმაციიდან გააკეთონ დასკვნები და პასუხები გასცენ დასმულ შეკითხვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ონთოლოგიის ენები სტანდარტიზებულია W3C ორგანიზაციის მიერ, მნიშვნელოვანი პრობლემები ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. არამკაფიო ონთოლოგიები, სადაც წარმოდგენილი ინფორმაცია არაცხადი და გაურკვეველია. არამკაფიო ონთოლოგიები მიიღება არამკაფიო ლოგიკის ინტეგრაციით ონთოლოგიებში. ასეთ ონთოლოგიებს ფართო გამოყენება აქვთ სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა მედიცინა, ბიოლოგია, ელექტრონული კომერცია და სხვა.

ამ მოხსენებაში ჩვენ განვსაზღვრავთ ურანგო არამკაფიო ლოგიკას და მასზე მსჯელობის ტაბლო მეთოდს. ჩვენი მიდგომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გავაფართოვებთ მრავალმნიშვნელობიან ლოგიკას მიმდევრობითი ცვლადებითა და ურანგო ფუქნციონალური და პრედიკატული სიმბოლოებით. ასეთი ენა და მასზე მსჯელობის მეთოდი გააფართოებს ცოდნის მოდელირების შესაძლებლობებს სხვადასახვა დარგებში.